ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

სამეცნიერო სემინარი

თემა: პოლიტიკური კრიზისი თანამედროვე თურქეთში (2016 წლის მოვლენები)

ემზარ მაკარაძე
პროფესორი

25 დეკემბერი, 2017

გეგმა

1. 2016 წლის 15 ივლისის თურქეთის რესპუბლიკაში არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალება;

2. სეკულარიზმისა და ევროპეიზმის პრინციპებსა და ე. წ. თურქულ „ტრადიციონალიზმს“ შორის დაპირისპირების მიზეზები;

3. სამართლიანობისა და განვითარების პარტია და მისი როლი თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში;

4. თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები 2016 წლის ივლისის მოვლენების შემდეგ;

5. სტაბილური თურქეთის როლი სამეზობლო პოლიტიკაში.

- 2016 წლის 15 ივლისს თურქეთში სახწელმწიფო გადატრიალების მცდელობა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა.
- მსოფლიო ბოლო თხუთმეტი წელია ინტერესით და გარკვეული შეშფოთებითაც ადევნებს თვალყურს თურქეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, მისი ქარიზმატული ლიდერის და ისლამური ხასიათის მქონე სამართლიანობისა და განვითარების პარტიის საქმიანობას.
- თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა ახალი თურქეთი დააფუძნა სეკულარიზმისა და ევროპეიზმის პრინციპებზე, თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური ცხოვრება, მნიშვნელოვანწილად იქცა ამ პრინციპებსა და რელიგიური ხასიათის მქონე ე. წ. თურქულ „ტრადიციონალიზმს“ შორის ბრძოლის მიზეზად.
- „ლაიციზმად“ (**ლაიციზმი (*Laiklik* - წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან „laicite,“ რაც ნიშნავს საერო ხასიათს. იგი გულისხმობს რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან)** წოდებულმა ათათურქის სეკულარიზმის ტრადიციამ სერიოზულად დაიმკვიდრა ადგილი თურქულ საზოგადოებაში, მაგრამ თურქეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით პროვინციული მოსახლეობა, დღემდე უფრო „ტრადიციონალიზმის“ ზნე-ჩვეულებების მატარებელია.

მუსტაფა ქემალ ათათურქი

- თურქეთის რესპუბლიკის ლაიცისტური კურსის უზრუნველყოფას ათწლეულების მანძილზე ასრულებდა **თურქეთის შეიარაღებული ძალები**.

- თურქი სამხედროები ტრადიციულად ღრმად იყვნენ ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და თურქეთის ისტორიის მნიშვნელოვან მომენტებში მკვეთრი ჩარევით გადამწყვეტ სიტყვას ამბობდნენ თურქეთის ცხოვრებაში.
- მათ მოახდინეს სამხედრო გადატრიალება - 1960, 1971 და 1980 წელს, ხოლო 1997 წელს კი ე.წ. „ ქაღალდის რევოლუცია “.

- 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა რეჯეფ თაიფ ერდოღანის ისლამური ფასეულობის სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ.

- სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ გამარჯვება მოიპოვა 2007, 2011 და 2015 წლის საპარლამენტო არჩევნებში.
- თანამედროვე თურქეთის ისტორიაში რ. თ. ერდოღანმა თითქმის შეუძლებელი შეძლო - მან მნიშვნელოვანწილად შეზღუდა ხელშეუხებელი სამხედრო ელიტა და ჩამოაშორა ის პოლიტიკურ საქმიანობას.
- რელიგიის საქმეთა სამმართველო თურქეთის სახელმწიფო სისტემის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სტრუქტურად გადაიქცა.
- თხუთმეტწლიანი მმართველობის დროს თურქეთში აშენდა 7300 მეჩეთი.
- უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში რელიგია აუცილებელ საგნად იქნა შეტანილი.
- საერო სკოლების საშუალო კლასებში შემოღებულ იქნა საგანი - რელიგიათ-მცოდნეობა.
- 2016 წლიდან ხელისუფლებამ სავალდებულო გახადა ყველა სახელმწიფო სკოლაში პარასკევის ლოცვაზე დასწრება.
- მოიხსნა სკოლების ტერიტორიაზე მოსწავლე გოგონებისათვის თავსაბურავით სიარულის აკრძალვა და სხვა.

რეჯეფ თაიფ ერდოღანი

ქვეყნის პოლიტიკური კრიზისის მთავარი ფაქტორები :

- 1) ე. წ. სამშვიდობო პროცესი (Çözüm süreci) – თურქეთის ხელისუფლებასა და ქურთისტანის მუშათა პარტიის დე-იურე ლიდერს – ამჟამად პატიმრობაში მყოფ აბდულა ოჯალანს შორის.

- 2) მწვავე დაპირისპირება რეჯეფ თაიფ ერდოღანის ხელისუფლებასა და გაერთიანება – ,,ჰიზმეთს'' და მის ლიდერ ფ.გიულენს შორის (**Yayin organi: Zaman Gazetesi).** პრეზიდენტმა ერდოღანმა ფ.გიულენი და მისი მიმდევრები ღიად დაადანაშაულა 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, რასაც მოჰყვა მასობრივი დაპატიმრებების ტალღა სხვადასხვა სახელმწიფო, კერძო და მედია სტრუქტურებში.

რ.თ. ერდოღანი და ფ.გიულენი

- 3) თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობები მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ყველაზე რთულ ფაზაში შევიდა 2016 წლის ივლისის მოვლენების შემდეგ. ანკარა უკვე დიდი ხანია უშედეგოდ ითხოვს აშშ-ში მცხოვრებ გიულენის ექსტრადიციას და აშშ-ს მიერ სირიელი ქურთების დანაყოფებისთვის (YPG) იარაღის მიწოდების შეწყვეტას, რომელსაც ანკარა განიხილავს ტერორისტული „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ (PKK) გაგრძელებად.

2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა თურქეთში

- ვაშინგტონი მხარს არ უჭერს თურქეთის სამხედრო ოპერაციას სირიაში. ანკარაში მიაჩნიათ, რომ ვაშინგტონის ქმედებები არ შეესაბამება მოკავშირეობის პრინციპებს.

- თუმცა, ორივე მათგანი არის ნატო-ს წევრი ქვეყანა და თანამშრომლობენ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებში.

რ.თ.ერდოღანი და დ.ტრამპი

რ. თ. ერდოღანი და დ. ტრამპი

- 2017 წლის 16 მაისს, თეთრ სახლში თურქეთის პრეზიდენტის რ. თ. ერდოღანის და აშშ-ის პრეზიდენტის დ. ტრამპის შეხვედრა შედგა, სადაც აშშ-ის პრეზიდენტმა მიანიშნა: ,,ჩვენ ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა თურქეთთან და ვაპირებთ, რომ მომავალშიც ასე განვაგრძოთ“.

გ. კვირიკაშვილი და რ. თ. ერდოღანი

- საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სტაბილურობა თურქეთსა და მის სამეზობლოში.
- თურქეთის წარმატება დადებითად აისახება საქართველოზე, ნებისმიერი ცუდი განვითარება კი უარყოფითად.
- თურქეთი ჩვენს უშუალო სამეზობლოში ნატო-ს წევრი ერთადერთი სახელმწიფოა.
- თურქეთი წლების განმავლობაში საქართველოსთვის უმთავრესი სავაჭრო პარტნიორია.
- საქართველოსთვის თურქეთი ევროპასთან დამაკავშირებელი ხიდია.

დ ა ს კ ვ ნ ა

- დღეს ზუსტი პროგნოზის გაკეთება ძალზე ძნელია, მაგრამ ვარაუდების და დასკვნების გამოთქმა შეიძლება.

- პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის საზოგადოების ევროპეიზებული ნაწილი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და სეკულარიზმის პრინციპებს იოლად არ დათმობს.

- შეიმჩნევა, რომ თურქული საზოგადოების დასავლური მენტალიტეტის მატარებელი ნაწილი და განსაკუთრებით, ახალგაზრდობა, თავისი მსოფლმხედველობით და მოთხოვნებით უკვე ათათურქისეულ სეკულარიზმზეც ამაღლდა და იკავებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მაღალი ევროპული სტანდარტების პლატფორმას.

- თუ ამ ფორმით არ განხორციელდა მოვლენები, მოსალოდნელია გარკვეული დროის შემდეგ შეცვალოს პოლიტიკური მდგომარეობა ქემალიზმისა და ლაიცისტური თურქეთის სასარგებლოდ.

გმადლობთ
ყურადღებისათვის!